საჯარო სამართლის იურიდიული პირი

# საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
# საქპატენტი

ქ. მცხეთა "11" 11 2013 წ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1578/03

**სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე**

2012 წლის 20 სექტემბრის N 68910/03 განაცხადით ფიზიკურმა პირმა გიორგი იაშვილმა (მის: რიწის ქ.№3, თბილისი. პ/ნ 01017010568) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „TSINO ЦИНО ცინო" (რეგ. N 24240) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „TSINO ЦИНО ცინო" (რეგ. N 24240) საქპატენტში რეგისტრირებულია 04.11.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 04.11.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 29-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სასაქონლო ნიშანზე „TSINO ЦИНО ცინო" (რეგ. N 24240) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 425), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 11.11.2013).

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; გიორგი იაშვილს (მის: რიწის ქ.№3, თბილისი, საქართველო).

კანცელარია

ასლი დედანთან სწორია

" 11 " 11 2013

ხელმოწერა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

**TSINO**
**ЦИНО**
ცინო

რეგისტრაციის **N 24240**

მფლობელი: იაშვილი გიორგი

მისამართი: რიწის ქ.#3, თბილისი, საქართველო

კლასი:

29 - ხორცი, თევზი, ფრინველი და ნანადირევი; ხორცის ექსტრაქტები; დაკონსერვებული, გამხმარი და თბურად დამუშავებული ბოსტნეული და ხილი; ჟელე, მურაბა, კომპოტი; კვერცხი, რძე და რძის პროდუქტები; ზეთები და საკვები ცხიმები.